

72
89/2



...ჩვენი აპკანი საქართველოა, ჩვენი მამა-პაპის საფლავი საქართველოა, ჩვენის ენის კვებაა ეს არის, ჩვენი სიტყვა-პასუხის გამგონი ეს არის, ჩვენს მზე აქ არის და ჩვენი მთვარე, და თუ გული გაქვს — გულიც აქ არის, თუ სიყვარული გაქვს — სიყვარულიც აქ თუ იქნება, თორემ სხვაგან სადა?

ილია

ვერონიკა

განათლება

ბავშვებისთვის

შემობრძანდი, განათებულა,
და საღამო უთხარ დმანისს,
გაუცინე ახალ ჭებერს,
იქ ზირულად გვუღება სვანი.
გამხსნევე, გააღალე,
აიუროს უნდა ტანი,
გუმტკიცოს საქართველოს
გოდოლი და ვალაფანი!..
ახალ ჭებერს, განათებულა,
აარიდე თვალი მსაკერის,
მიეც მზე და მუდროება,
სიმშვიდე და ჩრდილი კაკლის.
სინარული დაუბედე,
ძეობა და რწევა აკუნის,
ცხრა თამარი ვააცინე,
ცხრა გიორგი, ცხრა ირავლი!..

შატავრი მანანა მორჩილაძე





მარტის აზგავი

თამაზ გიგილაური

უველამ ვიცით, — მარტი გაზაფხულის პირველი თვეა.

მაგრამ ძველ ეგვიპტესა და ძველ რომში, ასევე ძველ რუსეთში XV საუკუნემდე, მარტიდან იწყებოდა ახალი წლის სათვალავი...

რას ნიშნავს „მარტი“, საიდან მოდის ეს სახელი?

ძველ რომაელებს ერთი ღვთაება ჰყავდათ — „მარსი“ ერქვა, ომის ღმერთად თვლიდნენ. იქნებ რომელიმე დიდი ომი მოხდა წელიწადის ამ თვეს და თვის სახელი — „მარტი“ იმიტომაც დაუკავშირდა „მარსის“ სახელს?

რა ვიცით...

წინათ, საქართველოში, მარტს „მირკანს“ ეძახდნენ... და იმთავითვე გაზაფხულის დასაწყისად თვლიდნენ...

გაზაფხულის მობრძანებას ქალაქში იმით თუ გავიგებთ, რომ სადმე, ეზოს კუნძულში, აყვავებულ ხეს დავინახავთ. სოფელში კი სულ სხვაა.

გაზაფხულის პირველი მახარობლები თბილი ქვეყნებიდან დაბრუნებული

ფრთოსნები არიან. უველაზე ადრე მაინც შოშიები გვეწვევიან. აბა გავიხსენოთ შიომღვიმელის ლექსი: „რად მოფრენილხარ, შოშიავ, შენ ასე ადრიანადა“, — ეკითხებიან ყმაწვილები გაზაფხულის მახარობელს. შოშია უპასუხებს: „რა ვქნა, ვერ ვძლებდი, სულ მუდამ ვიყავი დარდიანადა“. შოშიას აქაურობა მონატრებია, ჩვენც მოვნატრებივართ და ახლა სამშობლოში ჩამოსვლას ჩვენთან ერთად ზეიმობს...

გაივლის მცირე ხანიც და ახლა მერცხლები დაუბრუნდებიან მშობლიურ ბუდეებს.

მოდით, მერცხლის ჩივილიც გავიხსენოთ, პატარა ონავარ ბიჭს — ხესეს რომ ემდურის:

მე პაწია მერცხალი ვარ,
მოკიკიკე, მოალერსე,
არ გრცხვენია, უმიზეზოდ
ქვებს რომ მესვრი, ბიჭო, ხესე?!
მარტში იცვლება ბუნების ფერები.
დნება თოვლი. თავს ამოიღერებენ ენძელები და ყოჩივარდები. გადამწვანდება

1903x

ველ-მინდვრები. თეთრად აყვავდებიან ნუშები და ტყემლები. გადაყვითლდებიან შინდები.

აღბათ, ამაზე უთქვამთ ხალხში — „მარტი კაბას კერავდო...“

ბოსლებიდან და ბაკებიდან საქონელი გამოჰყავთ. მზის გულზე ჩამომსხდარან დიდები. დარბაისლურად დააბიჯებს ეზოში კრუხი თავისი ყვითელბუმბულა წიწილებით. ბაღების ჟვიღ-ხივილი ჩიტების კიკიკის ერთვის. ამღვრეულ ხევებსა და მდინარეებს თოვლის ლანქერი მოაქვთ.

პაპა კი აიღებს სახსლავს და ვენახის გზას დაადგება.

პაპა ვენახში წავიდაო? ეს იმის მაღუწყებელია, რომ გაზაფხული მართლა მოსულა.

ბინდისას კი, ვენახიდან ამოსული პაპა სიამაყით იტყვის: ვაჟი უკვე ტირისო. რას ნიშნავს ვაჟის ტირილი?

რტოების გადანაჭრიდან მოწვეთავს ვაჟის წვენი.

ეს თითქოს სიხარულის ცრემლებია, სიცოცხლის აღორძინების სიხარულია.

აბა, უშრომლად ქვეყანაზე რა გაკეთებულა და ჩვენ, ბაღლებსაც გაგვიჩნდა საქმე: პატარა ფუჩინა, ჭერ ფეხზე ძლივს რომ დგას, გომურიდან უნდა გამოვიყვანოთ და ქვეყნიერება დავანახვოთ. ეს უსურდაცქვეთილი, ეშმაკი თიკანიც მისახედია — გამოკვირებული ნამყენები არ გადაკორტოს. დიდდა მოგვძახის, ერთი კოკურით წყალი მოიტანეთო. პაპა წისკვილში გვაგზავნის, მოგვიწია ჩვენმა ჭერმა თუ არაო.

მიწას ათბობს თვალისმომკრელი მზე. ზეცა ლურჯია. ყველანი რაღაცის მოლოდინში ვართ...

რას ველოდებით?

ჩვენს თვალწინ მთელმა ერთმა წელიწადმა უნდა ჩაიაროს. ნეტავ როგორი იქნება ეს წელიწადი?..



ნაშენა და კახა

ნოდარ შამანაძე

- ზირველია დედა, საფიცარი კაცის.
- მერე?
- მერე სამშობლო, და ფიქრი მისი დაცვის.
- არა, არა! სამშობლო ზირველია, ბატონო, სამშობლო ჩვენც გვპატრონობს და დედსაც პატრონობს.
- კარგი, ასე მოვირგდეთ, მოდი, ნუღარ ვდავობთ: ზირველია სამშობლო... და დედიკოც, დეო!

სის გაზაფხულის ერთი დღე, ძალიან ღამაში დღე...

ქალაქის ქუჩები აივსება ხოლმე ყვავილებით, რადიოსა და ტელევიზიაში გადმოსცემენ მშვენიერ სიმღერებს და ცეკვებს. ქალებს დიდილანგე უჩვეულო სიამაყით უბრწყინავთ თვალები — სულ ერთია, ვინ არიან ეს ქალები — დედები, ბებიები თუ კულრატა გოგონები. კაცებსაც — დიდებსაც და პატარებსაც, სიკეთის დიმილი დაჟვნიათ სახეზე; მოაქვთ ღამაში თაიგულები, ღამაზად უძღვნიან ქალებს, კონცინან დიდი სიყვარულით, პატივისცემით. ქა-

ლები იხდიან მადლობას, ილოცებიან: ყველანი კარგად პყვედით, ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები. ხალისით მიმოდინ იმ დღეს ერთმანეთთან სტუმრად ოჯახები. მამაკაცები ცდილობენ ნაკლები საქმე გააკეთებინონ ქალებს. ქალები დამთმობად იღიშებიან ამაზე. ყველა მოსწავლე ცდილობს, კარგი ნიშნებით გაახაროს იმ დღეს დედა, ბებია...
რა დღეა ეს ღამაში დღე, ბავშვებო? თქვენ როგორ ხვდებით ხოლმე მას?



შაპრო სანალაშვილი



სუსტი ქარი,
მცირე წვიმა,
მდნარი ფიფქი,
მზის შუქი,
ყველა როა,
ერთ დღეს როა, —
მარტია და
ვის უკვირს?!



პოლემიკი ნოსხლი

მხატვარი თამაზ შავეჩავიძე
გვეჯიჩოთქქი

გაზაფხული იყო.

გაღობდა დედაბუნება.

გადვიებდას ზეიმობდნენ მთები.

მე და დედაჩემი მივეკვებოდით წყრილიან ტყეში გაჭრილ ბილიკს. დროდადრო დედაჩემი შუღვებოდა და ყურს მიუგდებდა ახლადგაოთლილ ტყის სუნთქვას. ეტყობოდა, რომ ეშინოდა. სუსტი მხრები უცახცახებდა, სახეზე კი არ იმჩნევდა შიშის კვალს.

მეც შეშინოდა, მაგრამ არც მე ვიმჩნევდი შიშს. უკვე თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა ვიყავი და ვვაყვაცობდი. კარგა გვარიანად ჩაყანგული ერთლულიანი „ცენტრალკა“ მკვიდა მხარზე.



ახლადგამოფოთილი ტყე იდუმალად იყო განაბული.

წინ დედაჩემი მიდიოდა. რამდენიმეჯერ დავაპირე გადასწრება, მაგრამ არ დამანება. ხელში ეჭირა პატარა წაღი, რომლითაც გამხმარი ფიჩხები უნდა მოგვეჭრა, მხარიდღოვ კანაფის საბელი ჰქონდა გადავლებული.

რისი გვეშინოდა?

დათვის. ბელეზიანი ყელთეთრა დათვის.

რაც თავი მახსოვს, ეს ყელთეთრა დათვი იყო ამ არემარის ბატონ-პატრონი. მე რომ პირველ კლასში მიმიფხანეს, სწორედ იმ გაზაფხულზე წაართვეს, ეტყობა, ჯერ კიდევ გამოუცდელ დედა დათვის ბელეზი შეშაზე წასულმა სოფლის დედაკაცებმა. ყვრილი რომ აუტეხეს, დათვი ხედაბვე გაქცეულა, ბელეზიც გამოსდევნებთან დედას, მაგრამ ისე პატარები იყვნენ, მალე დასწვეიან დედაკაცები, დაუჭერიათ და კალთებში ჩასხმულნი მოუყვანიათ სკოლის ეზოში.

სკოლის ეზო რიყის ქვით იყო შემოღობილი და მთელი ერთი კვირა იმ ბელეზთან თამაშით ვერთობოდით ბაღლები. ისინი პატარა ბასრი კლანჭებით გვიგერიებდნენ და ამაოდ ცდილობდნენ ყორხე აფოფებებს. ხარი რომ დაირკვებოდა და მოწაფეები კლასებში შევიდოდით, ფანჯრიდან ჩანდა, როგორ ჩამოსკუბდებოდნენ უკანა თათებზე, თავებს ერთმანეთს მიადებდნენ და ბლაოდნენ, ბლაოდნენ გულსაკლავად, ალბათ, დედას ეძახოდნენ ტყისაკენ დრუნებგაშვერილები.

ერთი კვირის თავზე ბელეზი ტომარაში ჩახსხეს და სადაღაც წაიფხანეს.

იმ ზაფხულს სოფლის საქონელს გამოეხსია გულთეთრა დათვი. რა არ იღონეს მონადირეებმა, მაგრამ ხელში ვერ მოიგდეს გულთეთრა.

ამ რამდენიმე წლის წინ კი დედაჩემიც კინადამ იმსხვერპლა. შეშაზე წამოსულს, სწორედ ამ ბილიკზე შეჭყრია გზაში. მაშინაც ჰყოლია ბელეზი და, რაკი ქალი დაინახა, ეტყობა, პირველად რომ წაართვეს ქალებმა ბელეზი, იფიქრა, ახლა ესეც წამართმევსო და ხახადადებული გაქანებულა დედაჩემისაკენ. ბელად დედაჩემს ცული სჭყრია ხელში და თურმე იმით იგერიებდა დათვის, რომელიც ცულის მოქნევაზე უკან გადაბტებოდა და ისეც ხახადადებული გაქანებო-

და დედანქმისაკენ.

გაღმა მთებზედაც კი გაუგონიათ შწყემსებს დათვის ღრიალი და დედანქმის განწირული ყვირილი.

იმ პატარა ბელებსაც შეშინებიათ და აჯღმუტუნებულან. დათვი ერთი წუთით მათკენ შებრუნებულა და, რაკი სოფლისაკენ მიმავალ ბილიკს მოშორებია, უხელთნია დედანქმს დრო და გამოქცეულა.

სოფლის თავში დაიჭირეს დედაკაცებმა დედანქმი, იმას კი უფიქრია, დათვმა დამიჭიროო, და გული წასვლია.

— კიდევ ბედი!

— კიდევ იღბალი, რო ცული არ დაარტყა დათვს, თორემ დაჭრილი აღარც მოეშვებოდა, სანამ სულ არ დაამტვრევდა ძვლებს. — გაიძახოდნენ ჩვენი ახლობლები და ისევ და ისევ ირტყამდნენ დედაკაცები მუხლებზე ხელებს:

— რას გადარჩა, ქალო!

— ვაი, შე საწყალო ლელავ!

— კიდევ ბედი, კიდევ იღბალი!

— რაზე ე ბაღდებს დააობლებდა!

დედანქმი კი თანდათან გონს მოდიოდა, ხალხში მე შეძებდა შეშინებული თვალებით. მე რატომღაც ვიმალებოდი, დედანქმისა შეშინოდა, დღესაც არ ვიცი, რატომ.

აი, ახლაც იმავე ბილიკზე მივდივართ, გულთეთრა ისევ ცოცხალია და კაცმა არ იცის, სად გამოვვიხტება. ჩვენ კი სხვა გზა არა გვაქვს, ჩემი დის საქორწილოდ ხმელი შემა უნდა შევაგროვოთ ტყეში.

აი, გაუუსწორდით იმ ადგილს. აგერ ის წიფელი, დედანქმი რომ ზურგიით ეყრდნობოდა და გამოწარებული იქნებდა ცულს.

— მოვუქცედი, გადახტებოდა უკან, ისევ წამოშტანებოდა, აღებდა დიდ ლამთ, ატრიალებდა წითელი ენას და ღრიალებდა, — ხმის კანკალით მიყვება დედანქმი.

— ძალიან შეგეშინდა?

— მე ჩემი თავი სადღა მახსოვდა, უცებ მამაგონდით თქვენა და იმიტომღა ვიქნედი ცულს, ობლად რო მრჩებოდით.

რატომღაც ვიუხერხულე, რომ დედანქმს სიკვდილის პირას მე შევეცოდე, და მრავალმნიშვნელოვნად მოვიხსენიე მხრიდან ჩემი ჩაუბნებელი თოფი.

გავცდით იმ ადგილს და გავედით ველში. ზემოთ შავი კლდე იყო წამოყუდებული. ქვემოთ, ღორღიან ჭაღახუ, შავი არაგვი მოქაჩებოდა და



მაოტელაშუნებდა ამდგრეულ ტალღებს. არაგვის გაღმა უფრო შხისპირი იყო და უკვე თეთრად იყვნენ ტყემლები გადაბენტილნი.

უცებ დედანქმი შედგა და მე მოშეხდა. სასწრაფოდ შევაყენე თოფის ჩახმახი.

— ხედავ? — შკითხა გაფითრებულმა დედანქმმა და იმ ადგილს მიაჩერდა, სადაც მდინარე ყველაზე გაშლილად მოდიოდა ხეებს შორის. სწორედ იმ ადგილას მოკვარი თვალი გულთეთრა დათვს და თოფი მიეუდგურე.

— მიიცა, არ ესროლო, — ჩამწურწულა დედანქმმა, — ხედავ, ისევ პატარა ბელები ჰყავს. ახლად შევაშინე დათვის ფეხებთან ორი პატარა ბელი.

გულთეთრა არაგვის ნაპირზე სუნსულებდა და პერს ყნოსავდა.

— მაგან, ეტყობა, ჩვენი სუნი იკრა და გაღმა აპირებს გასვლას, — მოთხრა დედამეძმა, — თან ეხლა იქ უფრო კარგი სასუსნაოი გეულება, მზისპირია და კენკემა უკვე ამოსული იქნება.

კარგა ხანს მიმოდოდა მდინარის ნაპირზე დათვი. ტალღების თავზე წამოქორილ შავ ნისლს ყნოსავდა, წყალში შესვლა კი ვერ გადაეწყვიტა, ეტყობა იმაზე ღონავდა, როგორ გადაეყვანა ერთდროულად ორივე ბელი გაღმა ნაპირზე.

როგორც იქნა, გაბედა. ჩაუღლო ერთ-ერთ ბელს ზურგში, კისერთან, პირი და თავაწეული შევიდა აბობქრებულ მდინარეში. რამდენჯერმე მოიტაცა წყალმა, მაგრამ იყოჩაღა და მშვიდლობიანად გაიყვანა ბელი გაღმა ნაპირზე. გაიყვანა და ბალახებში დასვა. თვითონ ტანი გაიბურტვა და გამოღმა დარჩენილი ბელისაკენ წამოვიდა. იქით რომელიც გაიყვანა, ის ჩხავილით გამოედევნა დედას უკან. გამოღმადარჩენილმაც დააპირა წყალში შესვლა. დათვის მეტი გზა აღარ ჰქონდა, სასწრაფოდ რამე უნდა ელონა. გაღმაგაყვანილი ბელი სილაზე დააწვინა და ზემოდან ქვა დაადო, თვითონ კი გამოღმა-დარჩენილი ბელის გასაყვანად ეცა მდინარეს.

გამოღმაც მშვიდობიანად გამოვიდა. ისევ ისე ჩასჭიდა ბელს ზურგში პირი და თავაწეული შევიდა მდინარეში.

ახლა უფრო გაუჭირდა გასვლა. რამდენჯერმე ისე გაიტაცა მდინარემ, აღარც კი ჩანდა შავ ტალღებში. მაინც მალლა კჭირა თავი. ცდილობდა ბელი არ გაშვებოდა პირიდან.

როგორც იქნა, გააღწია. ბელი დაბლა დასვა და შეორისაკენ გაიქცა.

მივიდა, გადაჰხადა ქვა.

ჯერ თათი წაპკრა.

მერე დასუნა.

ყური დაადო.

ისევ დასუნა.

მიმოიხედა.

ბელი გაუნძრველად ევლო ერთ ადგილას.

ჩამოუხვდა და ახლა ისე დაადო ბელს ყური დათვმა.

წამოღდა, უკანა ფეხებზე კაცივით შედგა, მალლა ახედა ცას და ვანწირული ხმით საზარლად დაიდრიალა.

მე ვერ გავიგე; როდის გამვარდა თოფი ხელიდან.

დედამეძმა იჯდა და ტიროდა.

ჩვენს თავზე ჩხიკემა გაღაფირინა.

ჩხიკეს ბელურების გუნდი მოჰყვა.

შაშვებმაც გაბმული ჭახჭახი მირთეს.

რადაც ხდებოდა ტყეში.

რადაც აშფოთებდა დედაბუნებას.

დედამეძმა იჯდა და ტიროდა. შვილის სიკვდილს თანაურგმნობდა გულთერთა დათვს. მე კი მაშინ არც კი მესმოდა, თუ ასეთი რამე შეიძლებოდა. ახლა მესმის, მაგრამ ახლაც ვერ გადმოგცემთ ამ თანავრძნობას სიტყვებით.

დედაშვილობის მადლი და დედის გული სულ სხვაა, დედის გულში იმნაირი გრძნობა ეტევა, სიტყვა უქმი და ყალბია მის გამოხატავად. მხოლოდ დედის თვალებიდან ჩამოვორებული ცრემლი გამოხატავს ხოლმე დიდ გრძნობას უნაკლოდ.

დედის ერთი ცრემლი სამყაროზე უფრო მძიმეა და გათენებაზე უფრო ნათელი.



ელენე ნადირაშვილი

გავისტუმრეთ ზამთარი,
ირგვლივ მწვანე მთებია,
შენს თმებზე რომ თოვლია,
რად არ დნება, ბებია?
— კუდრბჭებო, ეს თოვლი
გამოვლილი წლებია,
ძველი დარდი — რაც ასლი
თქვენით დამეიწეებია...



იის წესილი

ცირა კიტიაშვილი

ფოთოლი ამიშრიალა
ჩამოქროლილმა ნიაჟმა,
პითხრა: — სურნელით დამათურე,
დანახვა შენი შეაძა.
ჩამოიბინა მთის წყარომ,
წელით დამისველა ფესვები,
— ნუ შემეძინდი, ლამაზო,
მე მხოლოდ გვაღერსები.
შისი სხივმა ჩრდილშიც მომხანა,
ამომიკაცნა თვალები:
— ზირმმუენიერო დობილო,
მე ნუ, ნუ დამეძალები.
ქებით ქვეყანა შემეძირა
ჩიტების ტია-ტიაჟა;
თავი როგორ არ დავხარო
ერთმა უბრალო იაჟა?!



♦ სავით აქვს სურსეული ♦



XI საუკუნის 80-იანი წლები იყო. საქართველოს გაუფასებლად თავს ემხრონენ თურქები, რომელიც მათი ერთი წინამძღოლის, სელჩუკის სახელის მხარეში სელჩუკებმა უწივედნენ. სელჩუკები აიხიბებდნენ ჩვენს ქვეყანას, მაშინდელი დიდი ნადეალო, მიყვანილი ტყვენი, კავადონენ და ანადონებდნენ ჩვენს ბაღურბანს. ჩვენს სამეფოში ახიბებდნენ თავანთი ზეგა საქონლებს.

საქართველოს მამონდელი მეფე ვაჟი იყო II ვერ უღუბნა თურქთა მესობდნენ. იგი ვიდუბნითად ვიდუბნითად თავი აფხიბდნენა ბნობდნენათებ.

მასზე ვიდუბნით ვიფანს ქართველები აიხუღა, ერთი მესობად შეტყობდნენ და თურქების წინამძღოლად თავიანთი ბნობდა დამწყოთ. შეგანთ ამ დიდ საქმეს ხომ დობნდელი წინამძღოლად სქობდნენათ!

ახილ ვამონდა!
 ეს იყო მეფე ვაჟი იყო ძე — დავითი, რომელიც საქართველოში დავით IV, აღმაშენებლის სახელით ბრწყინდა.

სულ 16 წელი იყო დავითი, რაცა სასყუარებაზე ავიდა.
 ეს მოხდა 1089 წელს, ზუსტად 900 წლის წინათ. 1989 წელს დავით აღმაშენებლის ტახტზე აბედის საზეინი წყდია.

დავითის პიროვნული ბუნება და თავიანთი სახელი ვიდუბნითად აღუწერია მეფის კარის მტრობის.

დავითი ყოფილა საუცხოო თავდაგანადი, ამაყიანი ფრთხილი ძალით პატრონი, მარჯვე მხედარი და სწომარი, დიდი სწომარბი და, რაც მოადართა, მადლობდნენათა ვამონდელი აფხიანი.

თბის დროს დავითი პირველი უკვეთბოდა ბრძლე მტერს და ამით ენობობის მადლითს აბუდელი თავიანთებს. მუხობანებს უნობებ, რაცობს დამბრუნდა ერთხელ კარგაში მადლი

კავებდა უხვი ჯიჯივს მპეული, თავის კრია, არ შედრებს, თუნდა ბუნჯიათ ეხუთის თავზე შეტრია... არ გადიწვიტობს იმედი, არ შეიყვადლოს ფურია, თორკმ დამეშობს და დამწყველის მოამბე, ურია და ბერია.



მეფე ვაჟი იყო

გამოსხიბდნენული მეფე, შემოსბნა აბედის სარბელო, დაკოლდებულს სიხლბო თქობალი მადლი ძახის. ვიდუბნით ვერა, მეფე მასზე იყო დამბრუნდა, მარგან აღმბრუნდა, რამ სიხლბო ეფხისას სახელოდნენ უკან წასილო, მარგანის სიხლბო დამბრუნდნელი უბნო.

დავით აღმაშენებლის გამოსხიბდნენობის დროს ენობდელი ვიდუბნითს ტახტის ფრესკა, რომელიც უნის მადტარს მე — 16 საუკუნეში დავიხატეს ძველი სურბათის მხარეში. დავითის აქცია ძალიანბრია სასყუარებასი, თავზე სასყუარ ვაფრებინა სურბათი, სული კი ვიდუბნითს მადლი უბნა. ეს იმზე მოგანბრუნებს, რამ ვიდუბნით დავითის ბნობნობით იყო.

დავითი გამოსხიბული მისი დროს ერთი ამაყიანი, წარწყმადის სახელების ფრესკა, რომელიც მადტარების მუხუცეში იხიბება. ეს ფრესკა მოგანბრუნად დავითის საყუარებლს მართლ წყდებში — 1118 და 1125 წლებს შუა.

დავითის მუხამე სურბათის ვაფრებობი აფრესკაში დავილელი ერთი საყუარება. ეს საყუარება დავითის საყუარებლში დამწყდნობათ.

დავითის იმედი 36 წელი და ვამონდელი 1125 წელს, 52 წელია. მის მადლი თავისი ვინჯიანი მადლი საწომბო ქვეყნის დამბრუნდნობისათვის ვამონდელი, მისი კოლდებრების, ქართველების გამოსხიბდნენობის და მათი სწავლა-გამობდნენის დამწყდნობათ.

დავითს ვიდუბნით ავიდა თანისი წლის მამობზე მტერს ხელში მყოფი მეფე ვიდუბნობდა — თიხლბო.

მადლობენა ქართველები ერთი თავის ბრწყინდელი მეფის აღმაშენებელი უწილად ვ. ი. მეფე, ერთი თავისი დამბრუნდელი-ბნობნობის საწომბო აღადფრება, ხელახლო აბუნა. ბავშვობა, ვამონდელი ვიდუბნით, ჩვენს ქვეყნის მუხუცეში სიხლბობზე მოგანბრუნად დიდი დავითის საყუარ საყუარებლზე.



დამბრუნდა ვაქცი ჭეიჯია, ანაყის იცის, ვიხია, სურბათი ძალი ატობდა: ეს ვაქცი სემი ქმნიხია, ბევრგან ნადელი თამბილი, ბევრგან ნიკეში სქდობია, თხუთმა ვრნობა ნიკევის, ვინჯა მბარბანის ღირსია.



თავგანწირვა... «რა არ ვინდა, რა არაა»...

აი, ამასწინათ ბებიაჩემი მეუბნებოდა ხუმრობით: იცი, რომ თუი გაგარინზე უფრო ადრე ჩვენი ჭანჭიკეკლა გაფრინდა კოსმოსში. ეგ როგორ-მეთქი? როგორათ და, ჭანჭიკელას კოსმოსში გაფრენის პირველი ამბავი 1958 წლის თებერვალში შეგვაცტობინა მაყვალა მრეველიშვილმა «ნორჩი ლენინელის» ფურცლებიდან, გაგარინი კი 1961 წლის აპრილში

გაფრინდაო.

აი, თურმე, როგორი ყოფილა მაყვალა მრეველიშვილის კოსმოდრომი!

ახლა, ამბობენ, მაყვალა ბებია მოხუცდაო, 80 წელი შეუსრულდაო. მერე რა! კიდევ უფრო კეთილი გახდებოდა, კიდევ უფრო ბრძენი და კიდევ უფრო მოყვარული! და კიდევ და კიდევ დათესავს ამ სიკეთეს, სიბრძნეს, სიყვარულს...

დილა მშვიდობისა, ბებია მაყვალა!

ლა-ლა, ლა-ლა!
ბარაკალა!
კარგე სიმღერებია,
მოსასმენად მოვიწვიეთ
დედა, მამა, ბებია.
აბა, დედიკო, მამა, ბებია,
გაიხსენეთ, სულ პატარები
რომ იყავით, რა ლექსით
გაღვიძებდნენ ხოლმე დი-
ლაობით?!

- ჩიტო, ჩიტო, ნაცარა,
ვის უგალობ, ვისა?
- შენ უგალობ, პატარაე,
დედა მშვიდობისა!

ნაცარა ჩიტი და ცხრათვა-
ლა მზე, პაწაწინა ყვავილი
და კეთილი დეიდა მაყვალა
მრეველიშვილი ერთად გა-
ხელინებდნენ თვალს ჩვენი
მშვენიერი სამშობლოს
მშვენიერი დღის დასანა-
ხავად და შესაგრძნობ-შე-
საცნობად! მერე ეს ყველა-
ფერი ჩვენ გადმოვილო-
ცეთ მაყვალა მრეველიშვი-
ლის ძვირფას სახელთან
ერთად. რა არ უსწავლები-
ათ მათ ჩვენთვის, უსწავ-
ლებიან ცხოვრების ანბან-
და, ბუნების სიდიადე და
ანამიანის ბუნების მრავ-
ალფეროვნება... უსწავ-
ლებიან სიკეთე, სილამა-
ზე, სიყვარული, შრომა და

გ ე ნ ე დ ე ე

მე და დედა რატომ ვართ
მეგობრები, არ იცით?
იმიტომ, რომ ერთმანეთს
ვესმარებით ხალისით.
შეულა მინდა? — მიშეულის,
არც მე ვეაზარ ურგები,
ავიფარებ წინსაფარს,
მხარში ამოგუღებები.
სულ თვალეში შევცქერი,
მისი შუქი მინათებს,
სმულს სიცრუე დეღაქმს,
ვეტევი მხოლოდ სიმართლეს.
ჩემს დედიკოს ვუყვარვარ,
თავის ორთავ თვალივით,
იმიტომაც შემარქვეს
დედის გულის ვეავილი.



შატავარი გიორგი როინიშვილი



ნატობა

შოთა ასანიშვილი

მხატვარი ლალი ლომთაძე

ელექტროზარმა გაიწკრიალა. თაფლისფერთვალემა პატარა ბიჭი სკამიდან წამოხტა, რვეულს ხელი დასტაცა და კართან გაჩნდა.

ღია კარის ზღურბლზე მამამისი იდგა. — მამილო, ნახე, რა წაგაკითხო! — ლამაზად ჩაწიწიკებული რვეული აუფრიალა თვალწინ გიგა-ბიჭმა.

— შვილო, სახლში შემოსვლა მაცადე. პალტოს გავიხდი, მოვშლიფდები. ხელ-პირს დავიბან... დავსხდეთ მერე ტახტზე და წავიკითხოთ, რაც შენ გავიხარდება.

— ჰო, მამი, ჰო. — ფეხაკრეფით დასდევდა გიგა მამას.

მამამ გამოიცვალა, როგორც იქნა შევებით ამოიხუნთვა და რბილ ტახტზე ჩამოსხდნენ.

— გისმენ, მამა გენაცვალოს.

— მასწავლებელმა დაგვაძალა, ისეთი სიტყვები ჩამოწერეთ, რომლებშიაც დედა იქნება ნახსენებო.

— მერე, რა სიტყვები ჩამოწერე? გიგამ რვეული ორივე ხელით ცხვირწინ აიყუდა და კითხვა დაიწყო:

— დედაენა, დედამიწა, დედასამშობლო, დედაქალაქი, დედაშვილობა...

— სულ ეგ არის?

— მეტი ვერ მოვიგონე.

— დაჯექი და განაგრძე.

გიგა მაგიდასთან მოეწყო, კალამი მოიმარჯვა, მამას აღმაცერად გამოხედა, მზადა ვარო. მამამ ჩამოთვლა დაიწყო:

— დედააზრი, დედაკაცი, დედიშობილა...

— ფხუჟ! — ბიჭს სიცილი წასკდა.

ბაქიაოვას რა მოსდევს

მზარ კვიტიშვილი

— რა გაცინებს? — ჰკითხა მამამ.
— ტიტლიკანა არა, მამი?
მამას გაეღიმა. კარნახი განაგრძო:
— დედისერთა, დედინაცვალი, დედა-
ბუდე, დედაბერი, დედაქალაქი, დედაბო-
დი!

გიგა-ბიჭი წერას მორჩა, მამას მიაჩერ-
და და ჰკითხა:

— მამი, ყველა მშვენიერი სახელი დე-
დით რატომ იწყება?

მამა ერთხანს ჩაფიქრდა, მერე გიგა
გვერდით მოიხვა, ქოჩორზე ხელი გადაუს-
ვა და უთხრა:

— უმეტესად ასე ხდება, რომ ყველა-
ფერს შვილი პირველად დედას ჰკითხავს
ხოლმე. დედაც აღერსით უხსნის: „შემო-
გველოს დედა, სამშობლოა შენი — სა-
ქართველო“, „შემოგველოს დედა, მიწაა
ეს, შვილო“, „შემოგველოს დედა, ქალა-
ქია ეს“, „შემოგველოს დედა, ბუდეა ეს,
შვილო“... შვილებმაც სიტყვა „დედას-
თან“ ერთად აიტაცეს ეს ხანუკვარი სახე-
ლები და ასე გაჩნდა მშვენიერი სიტყვები:
დედამიწა, დედასამშობლო, დედაქალა-
ქი...

— მამებს რატომ არ ეკითხებიან შვი-
ლები? — გაუკვირდა გიგას.

— დიდი ხნის წინათ მამები შვილების
აღსაზრდელად იშვიათად იცლიდნენ, ისი-
ნი ან მტერთან შესაბამელად იყვნენ შინი-
დან წასული, ან — სარჩოს საშოვნელად.

— რა იქნებოდა, რამდენიმე სიტყვა
მამითაც დაწყებულიყო! — თქვა და თან
გული ამოაყოლა გიგა-ბიჭმა.

მამას თვალები აუციმციმდა და შვილს
ჰკითხა:

— შენი ნება რომ იყოს, რომელი სიტყ-
ვებს დაიწყებდი მამით?

- გიგა-ბიჭი გამოცოცხლდა.
- მამასამშობლოს და მამაბოდს!
- რატომ?
- ღონიერი... ღონიერები რა...



ფიცვი

ბარბელ ჭანტაძერია

ბიჭო, რატომ იცი
 ვუკლავურსე ფიცვი!
 შენ რომ იწუებ ფიცვილს,
 ხალხი იწუებს სიცვილს!
 იფიცები ღედან,
 იფიცები მამას,
 იფიცები იმას,
 იფიცები ამას!
 მაინც, რატომ იცი
 ვუკლავურსე ფიცვი?
 ფიცვი ღედის,
 მამის,
 ღეიდის და
 ბიძის!
 რასაც ამბობ, აღბათ,
 თვითონ შენ არ გჯერა!
 სსუანაირი სიტყვა



არ გესმენია ჯერაც!
 თუ გამოგვიტყდავ
 მაც ფიცვებით ეურებს,
 ბოლოს, მშაო, ფიცსაც
 გააუფასურებ!
 ვის სჭირდება ფიცვი,
 ვუკლავურსე ფიცვი:
 ღედის,
 მამის,
 დის,
 მძის,
 მამიდის და
 ბიძის!
 უნდა გქონდეს სიტყვა —
 ფოლადივით მტკიცე!
 მაშინ წარამარა
 აღარ დაიფიცებ!



27 მაისი- თავის საერთაშორ- სო დღე



ჯადოსური

სამყარო

პანილ კიკნაძე

თეატრს ხელოვნების აკვანს უწოდებენ!

იგი უხსოვარ დროში გაჩნდა. ალბათ იმიტომ, რომ ადამიანს მუდამ ჰქონდა სურვილი მიებაძა სხვისთვის, წარმოედგინა სხვისი სახე... დიდი ქართველი თეატრალური რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი ამბობდა ამაზე: „ადამიანი ისწრაფვის, გახსნას თავისი შინაგანი სამყარო სხვის სულში“.

თეატრი ქვეყნიერების პატარა ასლია: დეკორაციები გვაგონებენ ლამაზ მთებს, ზღვებს, ფართოდ გაშლილ ველებს... მსახიობები კი, ადამიანებივით, თავიანთ როლებს თამაშობენ, ისე როგორც ცხოვრებაში ხდება, — ხან უხარიან, ხან წუხან, ხან იბრძვიან, — ან მარცხდებიან, ან იმარჯვებენ...

ამ ცის ქვეშ ხდება ყველაფერი — ავიც და კარგიც. ამიტომ თავდაპირველად თეატრიც ღია ცის ქვეშ დაიბადა.

საბერძნეთში, თეატრში 1700 დასახელო-
მი ადგილი იყო, პირველად — ხერკულესმა
დევ კი, ძველი წელთაღრიცხვის V—IV
საუკუნეებში, ქვის სკამებიც გაჩნდა.
მსახიობის ხმა მისთვის ყველა იარაღად
მიედგინა, თეატრისათვის განსაკუთრე-
ბულ ადგილს ირჩევდნენ. აქ ნამდვილი
სახალხო ზეიმები იმართებოდა. მაყურე-
ბლები სხვადასხვა ქალაქებიდანაც ჩა-
მოდიდნენ. პიესის მწერალთა შორის
(ასეთები იყვნენ, მაგალითად, ესქილე,
სოფოკლე, ევრიპიდე, არისტოფანე) ხში-
რად ეწყობოდა შეჯიბრებები, აი ისე-
თი, დღეს რომ კონკურსებსა და ფესტი-
ვალებს ვუწოდებთ.

თეატრში ყველაფერი მთავარია. დი-
დი რუსი რეჟისორი კონსტანტინე სტა-
ნისლავსკი ამბობდა, თეატრი შესასვლე-
ლიდან იწყებაო. თეატრის შესასვლელში
არაჩვეულებრივი, სასეიმო, ამაღლებუ-
ლი განწყობილება უნდა სუფევდეს... აი,
კარებთან დგანან ფორმის ტანსაცმლია-
ნი ადამიანები, რომლებიც ღიმილით გი-
სინჯავენ ბილეთს; გარდერობში მოფუს-
ფუსენი პალტოს ჩამოგართმევენ და იქი-
დან სინათლით გაჩახჩახებულ დარბაზ-



ში შეხვალ. ამ დროს ფარდის იქით, თეატრალურ კოსტუმებში გამოწყობილი მსახიობები ნერვიულად მიმოდინა კულისებში, ფარდის ახლას უცდიან. დაირეკება მესამე ზარი და სიჩუმეში ნელ-ნელა იხსნება ფარდა. იწყება სპექტაკლი. მსახიობები ორ-სამ საათში მთელ ცხოვრებას გადმოგვიშლიან, — სცენაზე ყველაფერი ხდება, — სიყვარულიც არის, ღალატიც, ტანჯვაც, სიხარულიც...

სცენის ბატონ-პატრონია მსახიობი. ერთსა და იმავე მსახიობს ხან ბოროტი აღამიანის თამაში უწევს, ხან კეთილისა, ხან მოხუცის, ხან ახალგაზრდისა. ბევრ ქვეყანაში (მაგ. ინგლისში, საფრანგეთში, იაპონიაში) ერთ დროს ქალების როლებსაც კაცები ასრულებდნენ. საქართველოში კი ასეთმა წესმა უფი ვერ მოიკიდა, თუმცა ზოგჯერ ჩვენშიც იყო შემთხვევები, როცა ვაჟები ასრულებდნენ ქალების როლებს. მსახიობს ყველაფრის თამაში უნდა შეეძლოს. სერგო ზაქარიაძე დევს თამაშობდა, ეროსი მანჯგალაძე დათვს (გ. ნახუცრიშვილის პიესა „ჭინჭრაქსაში“).

უძველესია ქართული თეატრალურ-სანახაობითი ხელოვნებაც. ჩვენი წელ-

თალირიცხვის V საუკუნის ბიზანტიური ისტორიკოსის, პროკოპი კესარიელის ცნობით, ძველად კოლხეთში არსებულა. ჩვენი ეროვნული თეატრის დიდ ისტორიაზე მეტყველებენ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნიღბები; უძველესი თქმულებები; შემორჩენილი თეატრალური ნაგებობანი (მაგ. უფლისციხეში).

ქართული თეატრი ყოველთვის მებრძოლი თეატრი იყო, რადგან ქართველ ხალხს მუდამ ბრძოლა უხდებოდა თავისი ქვეყნისა და ენის შესანარჩუნებლად. თეატრი კი ხალხთან იყო. ჩვენი თეატრის ოქროს ფურცელია ერეკლე მეორის მსახიობების — მანაბელისა და გაბრიელ მაიორის გმირული ბრძოლა და დღუპვა კრწანისის ბრძოლაში ალა-მაჰმად ხანის წინააღმდეგ.

თეატრი აღამიანს ამდიდრებს ცოდნით, ალამაზებს და აფაქიზებს მის სულს. ეს ჯადოსნური სამყაროა, რომელიც ღრმად ჩაგახედვით აღამიანის გულში, გაგარკვევთ რთულ, მრავალფეროვან ცხოვრებაში.

იარეთ თეატრში!

1903



გაგაფსული გაეულუი

აპთანლილ მარაღიღვილი

ხის ტოტებს, როგორც ჩიტები,
დაასხდნენ თოთო კვირტები.
აუვაგებულან ატშები,
იასაშნები, ტიტები...
მაშულო, საგაზაფხულოდ
ო, რა საყვარლად ირთეები!

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

დიოგენე

დიოგენე სინოპელი ძველი ბერძენი ფილოსოფოსი იყო. მან ქალაქური ცხოვრება უარყო, ბუნების წიაღში გავიდა და მცენარეების ფოთლებითა და ფესვებით იკვებებოდა. ეძინა ცის ქვეშ. თუ უამინდობა ძალიან შეაწუხებდა, მაშინ თუ შეაფარებდა თავს ერთ ძველ, უვარგის კასრს.

ერთხელ დიოგენე მეფე ალექსანდრე მაკედონელმა მოინახულა. დიოგენე თავისი კასრის წინ იყო წამოწოლილი. ისაუბრეს მეფემ და უცნაურმა ფილოსოფოსმა. ბოლოს ალექსანდრემ ჰკითხა დიოგენეს: — არაფერი გსურს, მე რომ ავისრულო?

— გვერდზე გადადექი, მზეს ნუ მიჩრდილავ, მეტი არაფერიო, — მიუგო დიოგენემ.



ფოკიონი

მხატვარი ელზარ ამოკაძე

ბერძენთა საუკეთესო შვილებმა სიღარიბეში გალიეს თავიანთი დღენი... აი, მაგალითად, ფოკიონი. როცა ალექსანდრე მაკედონელმა ასი ტალანტი გაუგზავნა მას, ფოკიონმა იკითხა: რაში მამღევს ამოდენა ფულს ალექსანდრეო? პასუხად მიიღო: ათენელთაგან მეფე თქვენ ერთს გთვლით ყველაზე ღირსეულ კაცადო. მაშინ ფოკიონმა თქვა: ნება მიბოძოს ალექსანდრემ კვლავაც ასეთად დავრჩეო.





გაზაფხულის დასაწყისი

აიორანი შარათული

ღელეს მიაქვს
ფართიფურთით
ყინვის ზოდი
ათი ფუთი,
ვით ცხელ კვიზე
ბატიბუტი,
კვირტი სკდება
ტკაცობკუციოთ,
კვირტებიდან გაზაფხული
იბადება
ფაციფუციოთ...

გაზაფხი

შოთა აშირანაშვილი

აღბათ არ გაგიჭირდება
კანეთის ტაძრის მიგნება,
თავიდან ორი მარცვალის
წამოაცილო, იქნება,
და ის მრავალი თვერის
ავტორის ვვარი იქნება.

ამოცანა

ასეთი რამე ნახულა?
ფუტებზე ქუდი ახურავს...

ალექსი ხაუიშვილი

ჭიქო

საპარტიველოს ალკკ მკ-ისა
და ვ. ი. ლეონიძის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბავრო შერ-
ნალი უმცროსკლასელები-
30ს.

გამოდის 1904 წლიდან.
საქ. კ. ცკ-ის გამოცემულია.

შთავარი რედაქტორი
რეკავი იმანიშვილი

სარედაქციო კოლეჯია: მუხარამ აბო-
ქაძე, მანანა ანთაძე, ლეონარ ბაბუა,
სამილ პოზიანოვი, მერი ლავინია-
შვილი, სოლომონ ლეონიძის სახელობის,
ლავინია პეაძე, პეა ლეონაროვი, მ-
ხალა მუხარამიანი, შურბა ნაღო-
რამი, იმანიშვილი ნალაშვილი (პ/შ. ში-
ვანი), პიპი მუხარამი, პიპი მუხარამი.

სამხატვრო რედაქტორი
პირობა რიონიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
მელი წავთხილა

მისამართი: რედაქციის, გამოცემის,
სტამბის-თბილისი, ლენინის 14. ტელ:
შო. რედაქციის 93-41-30, 93-98-15;
პ/შ. მელიანის 93-10-32, 93-98-18; სამხ.
რედაქციის-93-98-18; გენერალურე-
ბის 93-98-19.

გადაცემა ასაწილად 28.12.88 წ., ხელმო-
წერილია დასაბუღად 18.02.89 წ., ქა-
დალდის ზომა 60x90¹/₂, ფონ. ნაბ.
ფურც. 2,5. ტირაჟი 168.000, შეკვეთა
№ 3293.

უფაზე ნახტი
ჯეშელ ლილეუსი

«Дила» («Утро») — Ежемесячный
журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузин-
ского Республиканского Совета
Всесоюзной пионерской организации
им. В. И. Ленина, для младшеклассни-
ков, на грузинском языке.
Отпечатано в типография издатель-
ства ЦК КП Грузии.
Главный редактор Реваз Иваниш-
вили (тел. 93-41-30).
Адрес редакции и издательства:
380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Объем 2,5 печатных листа, тираж
168.000. Заказ № 3293.

6 5/46



გამოჭირით ყვავილები და ფოთლები, დააწებეთ გამოჭრილ კალათაზე და მიართვიტ ღელას.